



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №76

2017 წელი 12 დეკემბერი

ქ.ბათუმი

**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ა(ა)იპ „ხელვაჩაურის სასაფლაოები“-სათვის გადაცემაზე თანხმობის მიცემისა და გადასაცემ ქონებაზე „სასაფლაოს სტატუსის“ მინიჭების შესახებ**

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 122-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიას, ა(ა)იპ „ხელვაჩაურის სასაფლაოები“-ს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადასცეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ თხილნარში მდებარე 6930 კვ.მ (ს/კ 22.28.04.509) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შემდგომში მისი მოვლა-პატრონობის მიზნით.
2. ა(ა)იპ „ხელვაჩაურის სასაფლაოები“-ზე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემულ მიწის ნაკვეთს მიენიჭოს სასაფლაოს სტატუსი.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. №30) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნადიმ ვარშანიძე